პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ახალგაზრდა სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, კომკავშირის კომიტეტისა და პროფკომის ორგანო

Ахалгазрда Сталинели — орган парткома, ректората, комитета ЛКСМ и профкома Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

გამოცემის მერვე წელი

№ 25 (266)
პარასკევი, 23 ოქტომბერი 1959 წ.
ფასი 20 კაპ.

სურათზე: „ვეფხისტყაოსნის" პოლონურ ენაზე მთარგმნელი პოეტი იგორ სიკირიცკი (მარცხნივ) ესაუბრება აკადემიკოს აკაკი შანიძეს.

ფოტო ზ. რუხიასი.

პოლონური კულტურის კვირეული საქართველოში

მეგობრობის საღამო

20 ოქტომბერს ჩვენი უნივერსიტეტის საქტო დარბაზში უნივერსიტეტმა და უცხო ენათა პედაგოგიურმა ინსტიტუტმა შეხვედრა მოუწყეს პოლონეთის კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეებს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ პოლონეთის კულტურის კვირეულში.

პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ სტუმრები: ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი ანასტას ზაიონჩკოვსკი, მწერალი დობროვოლსკი, ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის ადიუნქტი იან ბრაუნი, პოეტი, პოლონურ ენაზე „ვეფხისტყაოსნის" მთარგმნელი იგორ სიკირიცკი და სხვები; უნივერსიტეტის რექტორი აკად. ე. ხარაძე, უცხო ენათა ინსტიტუტის დირექტორი დოც. მ. კვესელავა, აკადემიკოსები: ა. შანიძე, ი. ბერიტაშვილი, შ. ძიძიგური (?), ნ. კეცხოველი; პროფესორები: ი. ცინცაძე, ალ. ბარამიძე; პოეტი ს. ჩიქოვანი, დოც. ბ. ელენტი.

სტუმრებს გულთბილად მიესალმა უნივერსიტეტის რექტორი, პროფ. ე. ხარაძე.

— ჩვენ, პოლონეთში ჩატარებული ქართული კულტურის კვირეულის მონაწილენი, — აღნიშნა პროფ. ე. ხარაძემ, — ახლაც ვიმყოფებით იმ დიდი შთაბეჭდილებების ქვეშ, რაც ჩვენზე დატოვა პოლონელთა სტუმართმოყვარეობამ და ჩვენდამი ყურადღებამ, და ახლა, როცა ჯერი ჩვენზე დადგა, არც ჩვენ გავუწევთ ცუდ მასპინძლობას.

— პოლონელი და ქართველი ხალხების მეგობრობას ღრმა ისტორიული ფესვები გააჩნია, — აღნიშნავს იგი, — ეს მეგობრობა ჩვენი ისტორიული ბედის მსგავსებამ განაპირობა.

პოლონეთი მაღალი კულტურის ქვეყანაა. მან კაცობრიობას მისცა კოპერნიკი და მიცკევიჩი, შოპენი და სლოვაცკი, სენკევიჩი და პრუსი, კონოპნიცკაია და კიური-სკლოდოვსკაია. დამახასიათებელია, რომ კრაკოვის უნივერსიტეტი არსებობის 600 წელს ითვლის.

განსაკუთრებული სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ ბევრი რამ ჩვენაც გვაქვს გამოსაჩენი და თავმოსაწონებელი. ბერძნული წყაროების მიხედვით, ქ. ფაზისის მახლობლად ჩვენი ერის IV საუკუნეში არსებობდა აკადემია, სადაც ქართველები და სპეციალურად გამოგზავნილი ბერძნები სწავლობდნენ. გელათისა და იყალთოს აკადემიები ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის მძლავრი კერები იყო.

პროფესორი იასე ცინცაძე ამ რამდენიმე ხნის წინათ იმყოფებოდა პოლონეთში, იქაურ არქივებში ბევრი ძვირფასი მასალა გამოავლინა პოლონეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის სფეროდან. მან პოლონეთში ბევრი მეგობარი შეიძინა. ი. ცინცაძე მიესალმა პოლონელ მეგობრებს და აღნიშნა, რომ ჩვენი უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტს განზრახული აქვს მომავალ სასწავლო წელს სტუდენტთა სასწავლო გეგმაში შეიტანოს პოლონეთის ისტორიის სპეცკურსი.

უცხო ენების ინსტიტუტის სტუდენტი იზოლდა ანთელავა პოლონურ ენაზე მიესალმა სტუმრებს, რამაც აღაფრთოვანა ისინი.

ტრიბუნაზეა პროფ. ანასტას ზაიონჩკოვსკი. იგი ამბობს:

— დიდი გერმანელი პოეტი გოეთე აღნიშნავდა: „ვისაც სურს კარგად გაიგოს პოეტის შემოქმედება, მან უნდა ინახულოს მისი ქვეყანა". მე აღმოსავლეთმცოდნე ვარ და ჩემი თავისთვის ვერ მიპატიებია, რომ დღემდე არ ვყოფილვარ საქართველოში. აქ შევიგრძენი სწორედ ის სული, რომლითაც გამსჭვალულია რუსთაველის გენიალური ქმნილება და რომელიც მუდამ მაოცებდა.

პროფ. ზაიონჩკოვსკიმ გადასცა აკად. ე. ხარაძეს თავისი ორი შრომა აღმოსავლურ ფილოლოგიაში. — ბოდიშს ვიხდი, — თქვა პოლონელმა პროფესორმა, — რომ ვერ გესაუბრებით თქვენს ლამაზ ქართულ ენაზე. ჩემს მაგივრად ამას ჩემი თანამემამულე იან ბრაუნი გააკეთებსო.

ფილოლოგი იან ბრაუნი ამბობს:

— ძვირფასო მეგობრებო! დიდი მღელვარებით და სიხარულით შემოვდგი ფეხი დღეს თქვენი ძვირფასი უნივერსიტეტის კარებში, რომელიც ამავე დროს ჩემი აღმზრდელიცაა. აქ 1955 წელს დავამთავრე ასპირანტურა ძველი ქართული ენის განხრით. ჩემი მასწავლებლები იყვნენ აკადემიკოსები ა. შანიძე, ა. ჩიქობავა და პროფ. ი. აბულაძე.

ჩვენში, პოლონეთში, ორი კვირის წინ ჩატარდა ქართული კულტურის კვირეული. ბუნებრივია, რომ ვცდილობდი ჩემი მცირედი წვლილი შემეტანა ამ საქმეში... ამ დროისათვის ვთარგმნე ბარათაშვილის „მერანი", აკაკის „სულიკო", გ. ლეონიძის სამი ლექსი და ხევსურული ბალადა ვეფხვისა და მოყმისა; გამოვაქვეყნე სამეცნიერო შრომა — „კრაკოვში ჩარტორიისკების მუზეუმში დაცულ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა".

იან ბრაუნი შეეხო ქართველოლოგიის მდგომარეობას პოლონეთში. ილაპარაკა „ვეფხისტყაოსნის" ლაფჩინსკისეულ თარგმანზე, არტურ ლაისტის წიგნზე საქართველოს შესახებ, რომელიც პოლონურადაა დაწერილი, ახალგაზრდა დოქტორ კაზიმირ მინევიჩზე, რომელმაც პოლონურ ენაზე დაწერა ქართული ლიტერატურის პირველი ისტორია, და დასძინა, — ეს ახალგაზრდა ნიჭიერი მკვლევარი ბევრს შემატებდა ქართველოლოგიას, გერმანელ ფაშისტებს რომ არ დაეხვრიტათო.

ქართველი მკითხველისათვის ცნობილი უნდა იყოს, რომ ლაფჩინსკის თანამედროვემ, პოლონელმა მოგზაურმა, ინჟინერმა და ტოპოგრაფმა იოზეფ ხოძკომ თარგმნა ფრაგმენტები „ვეფხისტყაოსნიდან".

შემდეგ „ვეფხისტყაოსნის" თარგმანს ხელი მოჰკიდა ნიჭიერმა ახალგაზრდა პოლონელმა პოეტმა იგორ სიკირიცკიმ. მან ეს თარგმანი გააკეთა ზაბოლოცკისეული რუსული თარგმანისა და პროფ. შალვა ნუცუბიძის თარგმანის საფუძველზე. ეს უკანასკნელი მას დაეხმარა პოემის რიტმისა და მუსიკის შენარჩუნებაში.

ეს თარგმანი, სიკირიცკის აზრით, არის რუსთაველის პოემის არა სიტყვა-სიტყვითი თარგმანი, არამედ გაპოლონურებული.

საზეიმო ნაწილის შემდეგ გაიმართა კონცერტი უნივერსიტეტისა და უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტთა მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების შესრულებით.

სურათზე: პოლონელი ქართველოლოგი იან ბრაუნი სიტყვას ამბობს ქართულ ენაზე.

ვარშავა

...პირველი ცნობები პოლონეთის დედაქალაქ ვარშავის შესახებ განეკუთვნება მე-13 საუკუნის დასაწყისს, როცა ის ჯერ კიდევ სოფელი იყო. იმავე საუკუნის დასასრულს იგი უკვე ქალაქია, ცენტრია თავად მაზოვეცკების ფეოდალური მამულისა. 1526 წელს მაზოვეცკის საფეოდალო პოლონეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა და ვარშავამ განსაკუთრებით სწრაფად იწყო ზრდა. რეჩი პოსპოლიტას შექმნის შემდეგ, 1596 წლიდან, ვარშავა ქვეყნის ცენტრია, ტონს აძლევს მის ცხოვრებას.

...ვარშავის შუასაუკუნეობრივი ცენტრის, სტარემიასტოს საუკეთესო ძეგლია წმინდა იანის სახელობის ტაძარი, რომელიც უძველესი გოთური სტილისაა. ეს ტაძარი აშენებულია მე-14 საუკუნეში, გადაკეთებულია მე-19 საუკუნეში.

...შესანიშნავი შრომა, რომელსაც ეწეოდნენ ვარშაველები ჰიტლერელთა მიერ დანგრეული ქალაქის აღდგენისა და შემდგომი კეთილმოწყობისათვის, 1950 წლის ნოემბერში მშვიდობის ოქროს მედლით აღინიშნა.

ჩემი მადლობა

იგორ სიკირიცკი

ასეთი გულითადი მიღებისათვის მხოლოდ მთელი გულით შეიძლება მადლობის გადახდა. ეს იმას ნიშნავს, რომ მე აქ, უნივერსიტეტში, თბილისში უნდა დავტოვო ჩემი გული, მაგრამ უგულოდ პოეტს არ შეუძლია ლექსების წერა... ამიტომ მე თქვენთან ჩემი გულის მხოლოდ ნაწილს დავტოვებ...

იქ, სადაც კაცი ტოვებს თავისი გულის ნაწილს, ვალდებულია დაბრუნდეს კიდეც და, ამიტომ, მე ძალიან მსურს ერთხელ კიდევ ჩამოვიდე საქართველოში, ვისწავლო ქართული ენა და არა მარტო ვთარგმნო მშვენიერი ქართული პოეზიის ნიმუშები, არამედ ლექსებიც დავწერო საქართველოს შესახებ. ვფიქრობ, ეს იქნება ყველაზე კარგი მადლობა ამ გულითადი მიღებისათვის, რომელსაც მე არასოდეს არ დავივიწყებ.

Igor Sikirycki

ცნობები პოლონური მუსიკის შესახებ

საინტერესოა იცოდე, რომ...

...პოლონური მუსიკის უძველესი, ჩვენამდე მოღწეული ნოტები მიეკუთვნება მე-12 საუკუნეს. ამ ლიტურგიული სიმღერა-საგალობლების კრებულს ჰქვია მისალი, რომელსაც გადასწერდნენ ბერები.

...მე-15 საუკუნიდან იწყება პოლონური მრავალხმიანი ვოკალური ინსტრუმენტული მუსიკის განვითარება. ამ დარგში გამოჩენილი ოსტატი იყო მიკოლა რადომელი (მე-15 საუკუნის პირველი მეოთხედი). პოლონური ოთხხმიანი სტილის პირველი ნიმუშები მოგვცა სებასტიან ფელშტინელმა.

...1765 წელს ვარშავაში გაიხსნა ეროვნული თეატრი (1833 წლიდან — დიდი თეატრი), რომლის სახელსაც უკავშირდება პოლონეთის ეროვნული საოპერო კულტურა.

...პირველი პოლონური ოპერები შექმნეს მ. კამენსკიმ (1734 — 1821) — „გაბედნიერებული სიღატაკე" და ი. სტეფანმა (1746—1829) — „კრაკოველები და მთიულები". კამენსკი წარმოშობით სლოვაკი იყო, სტეფანი — ჩეხი.

ამ ოპერების ლიბრეტო ეკუთვნოდა პოლონური თეატრის მამას, გამოჩენილ მსახიობს და დრამატურგს ვ. ბოგუსლავსკის (1757 — 1829).

...შოპენის ერთ-ერთ წინამორბედად ითვლება მ. ოგინსკი (1765 — 1833), ავტორი პოლონეზებისა და პოლონური ეროვნულ-გამათავისუფლებელი იდეებით გაჟღენთილი სიმღერებისა, რომლებიც მან შექმნა საფრანგეთის რევოლუციის გავლენით (1794 წელს).

...პოლონური ხალხური მუსიკის ელემენტებზე შექმნეს მთელი რიგი ნაწარმოებები რუსმა და საბჭოთა კომპოზიტორებმა: პოლონური აქტები გლინკას ოპერა „ივანე სუსანინში", მუსორგსკის „ბორის გოდუნოვში", რიმსკი-კორსაკოვის „პან ვოევოდაში", პოლონეზი და მაზურკა ჩაიკოვსკის ოპერა „ევგენი ონეგინში", გლინკას, ალიაბიევის, ვერსტოვსკის, ჩაიკოვსკის, გლაზუნოვის, ლიადოვის და სხვათა ინსტრუმენტული პიესები და რომანსები.

...მუსიკათმცოდნეობის კათედრები არსებობენ ვარშავის, კრაკოვისა და პოზნანის უნივერსიტეტებში...

...1953 წელს პოლონეთში იყო 6 საოპერო და 5 მუსიკალური თეატრი.

ერთხმად მოიწონეს

22 ოქტომბერს უნივერსიტეტის საქტო დარბაზში შედგა უნივერსიტეტის თანამშრომელთა და სტუდენტთა საერთო კრება, რომელიც მიეძღვნა ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტის შედეგებს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მოხსენება ამ საკითხზე გააკეთა უნივერსიტეტის რექტორმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ევგენი ხარაძემ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტს ამერიკის შეერთებულ შტატებში, — აღნიშნა მომხსენებელმა, — მთელი კაცობრიობა აფასებს, როგორც წინგადადგმულ ნაბიჯს ცივი ომის ლიკვიდაციის გზაზე. ამ ვიზიტის შედეგად მთელი მსოფლიოს ხალხებმა მშვიდობით ამოისუნთქეს. საბჭოთა ადამიანები გულწრფელი მადლიერების გრძნობით არიან გამსჭვალული ჩვენი სახელმწიფოს მეთაურისადმი, რადგან იგი ასე დაუღალავად იბრძვის მშვიდობის განმტკიცებისათვის, ხალხთა შორის მეგობრობისათვის.

კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ: ფიზიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე ამხ. ლევან გედევანიშვილი, პროფ. არჩილ ფანცხავა, დოც. ზურაბ ჭარხალაშვილი, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი ბოჭორიშვილი და გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი ხიხაძე. მათ გამოხატეს მთელი აუდიტორიის აზრი, როცა მხურვალედ მოიწონეს შედეგები, რომლებიც ამერიკაში ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობას მოჰყვა.

რეზოლუციაში, რომელიც კრებამ ერთსულოვნად მიიღო, აღნიშნულია, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტი აშშ-ში შევა ისტორიაში, როგორც თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის ნათელი ფურცელი.

ფართო ასპარეზზე

ამ დღეებში ქართველმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა ქართული კულტურის ეროვნული ერთი დიდი ეტაპის— საქართველოს დედაქალაქში პირველი სტამბის დაარსებისა და პირველი ნაბეჭდი ქართული წიგნის დაბადების 250 წლისთავი.

ეს ისტორიული თარიღი დამთხვა ოქტომბრის მეორე. მასთანავე მეოდროდ დაკავშირებულ ღირსშესანიშნავ მოვლენას — საქართველოს ხალხებრებს გარეთ პირველი ბეჭდური ქართული წიგნის გამოჩენის 250 წლისთავს.

XVII საუკუნის პირველ მეოთხედში, როცა ჩვენი ქვეყანა ძმიმე განსაცდელის წინაშე იმყოფებოდა, როცა ქართველი ხალხის ძირითადი ძალა მაჰმადის ხისტლიან ლაშქრობებს ეწირებოდა, როცა დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის მებრძოლ ქვეყანას ალარ ეცალა დიდი კულტურული საქმის წამოწყებისათვის, ქართველ პატრიოტთა ინიციატივით სამშობლოს გარეთ, ქ. რომში, 1629 წ. პირველი ქართული წიგნი დაიბეჭდა. ეს იყო მხოლოდ დასაწყისი იმ დიდი საქმისა, რომელიც 80 წლის შემდეგ, მძიმე ბრძოლებისაგან ერთგვარი შეხვენების ხანაში, 1709 წელს თბილისში ეროვნული სტამბის დაარსებით დაგვირგვინდა. თბილისში სტამბის დაარსება, რომელიც პირველი იყო არა მარტო საქართველოსა და ამიერკავკასიაში, არამედ მის მეზობელ სხვა ქვეყნებშიც, იყო განხორციელება XVII — XVIII საუკუნეთა მიჯნის ქართველ პროგრესულ მოღვაწეთა — ვახტანგ VI-ის, სულხან-საბა ორბელიანის და სხვათა ფეოდალ-პოლიტიკური პროგრამისა; ეს იყო კულტურის ფრონტზე უცბოური აგრესიის წინააღმდეგ ბასრი საბრძოლო იარაღის გამოქედვა. ეს იყო ქართული კულტურის დიდი ზეიმი.

თბილისის სტამბამ უდიდესი როლი შეასრულა აგრესორთა შემოსევების შედეგად დაქანცებული ქართული კულტურის აღორძინებისა და შემდგომი განვითარების საქმეში, იდეურ-პოლიტიკური ბრძოლის მესეფერთა რიგების გაფართოვებისა და გამრავლებების საქმეში, ქვეყნის პოლიტიკური დაშლილობის ხანაში ერთიანობის შენგნების გაღვივების, ერთიანი სახელწიფოებრივი ენისა და მწერლობრის გაფურჩქვნის დიდ ეროვნულ საქმეში.

თბილისის სტამბა იყო პირველი ცენტრი, საიდანაც საქართველოს ყოველ კუთხეში, მის აღმოსავლეთსა და დასავლეთში მიდიოდა ქართული ნაბეჭდი წიგნი. ეს წიგნი ერთნაირად ძვირფასი იყო სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა თუ კულტურის ფრონტის მოღვაწეთათვის, მაჰმადიან ქართველი მეომრისა თუ საქორწინოდ გამზადებული დედოფლისათვის.

საქართველოს პირველი სტამბა იყო აგრეთვე სიმბრალო უძველესი კულტურის ორი ხალხის — რუმინელებისა და ქართველების — მეგობრობისა და უანგარო თანამშრომლობისა. ანთიმოზ ქართველის მრავალმხრივი მოღვაწეობა რუმინეთში, ხოლო მიხაილ ოზტაპოვიჩისა (უნგრელ-ახელისა) თბილისში, სხვადასხვა ერთა კულტურის ფრონტზე ნაყოფიერი თანამშრომლობის განუმეორებელი მაგალითია.

თბილისის პირველმა სტამბამ, მისი ხანმოკლე არსებობის მიუხედავად, წარუშლელი კვალი დატოვა ქართველი ხალხის კულტურის ისტორიაში. მაგრამ იგი ჩვენს ეპოქამდე სათანადოდ არ ყოფილა შეფასებული. ბურჟუაზიულმა საქართველომ XIX ს. 70—80-იან წლებამდე ვერ შეამჩნია ვახტანგ VI-ის სტამბის წიგნი.

მხოლოდ საბჭოთა საქართველოში გახდა შესაძლებელი ქართული კულტურის ამ ბნიშვნელოვანი ერის ნამამგარის მეცნიერული შესწავლა, ამ საქმეში თავდადებულ წინაპართა ღვაწლის სათანადოდ შეფასება...

ამასთან, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ გახდა შესაძლებელი ორნახევარი საუკუნის წინ ჩასახული ბეჭდვის საქმის არნახულ სიმაღლემდე აყვანა — არც ისე დიდი ხნის წინათ ერთი სტამბით წარმოდგენილი თბილისის გადაქცევა მსხვილ პოლიგრაფიულ ცენტრად.

მრავალრიცხოვანი გამომცემლობანი თბილისში ამჟამად ბეჭდავენ მილიონობით წიგნებს, ჟურნალებსა და გაზეთებს არა მარტო ქართულ, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა ენებზე. მათ შორის თბილისის პირველი მესტამბის მიხაილ ოზტაპოვიჩის მშობლიურ, რუმინულ ენაზეც.

დიდი ხანია ქართული წიგნი და, საერთოდ, ქართული ბეჭდური პროდუქცია გასცილდა საქართველოს საზღვრებს და ხალხთა შორის მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის ფართო ასპარეზზე გავიდა. ქართული წიგნის ენა გახადეს გახდა აგრეთვე სხვა ხალხებისათვის, მოწონავე კაცობრიობისათვის. ასეთ ასპარეზზე იგი შემოქმედი ხალხის ძალამ და კომუნისტური პარტიის ყოველდღიურმა მზრუნველობამ გამოიყვანა.

პროფ. შოთა მესხია

მიმდინარე წლის ოქტომბერში 250 წელი შესრულდა თბილისში ქართული სტამბის დაარსებიდან. ქართული კულტურის ეს საიუბილეო თარიღი მოეძღვნა ჩვენს რესპუბლიკამ აღნიშნა.

გუშინ, 22 ოქტომბერს უნივერსიტეტის საკაქტო დარბაზში შედგა თბილისის ქართული სტამბის 250 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საზეიმო საღამო, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა პროფ. ე. ხარაძემ. საღამოზე სიტყვებით გამოვიდნენ პროფ. ა. შანიძე, პროფ. შ. მესხია. დოც. ი. ნატარშვილი, უნივერსიტეტის გამომცემლობის დირექტორი ამხ. ალ. გაბესკირია, უნივერსიტეტის სტამბის მუშა ამხ. დალი ტაბუცაძე.

სტუდენტთა სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ეურნალისტიკის განყოფილების წარჩინებულმა სტუდენტმა ნარგიზა მგელაძემ.

დასასრულ, გამოქვეყნდა რექტორის ბრძანება, რომლითაც მადლობა გამოეცხადა სტამბა-გამომცემლობის მოწინავე მუშა-მოსამსახურეებს.

ავირჩიე სტამბაში მუშაობა

პატარობიდანვე მიყვარდა წიგნი, გაზეთი, ჟურნალი. სასწავლებელში აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის მუშაობაში.

როგორ კეთდება წიგნი? — ხშირად დავინტერესებულვარ ამ კითხვით და, აი 1957 წელს, როცა სასწავლებელი დავამთავრე, მუშაობა სტამბის სწორედ იმ საამქროში დავიწყე, სადაც ხდება წიგნის გამოცემის უკანასკნელი პროცესი — აკინძვა.

ჩვენი საამქროს უფროსის ვ. ლორთქიფანიძის ყოველდღიური დახმარებით და მითითებით ვცდილობ რაც შეიძლება კარგი პროდუქცია გამოვუშვა.

თბილისის სტამბის 250 წლისთავზე ბევრი ისეთი მასალა წავიკითხე, რომელმაც ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

რა ბედნიერები იყვნენ თბილისის სტამბის პირველი ასოთამწყობები, რომლებმაც აწყვეს შოთას უკვდავი „ვეფხის-ტყაოსანი“, და ის პირველი მკინძაკები, რომლებმაც „სამზითვო“ საჩქარი მიეძღვნეს ქართველ ხალხს.

ჩვენ ახალგაზრდა პოლიგრაფისტები, დიდი სიყვარულით მოვეკიდებით ჩვენს საქმეს და ვეცდებით, რომ ჩვენი პროდუქციით კმაყოფილი დარჩნენ მკითხველები.

დალი ტაბუცაძე,
უნივერსიტეტის სტამბის მკინძავი.



სურათზე: უნივერსიტეტის სტამბის მოწინავე მბეჭდავი ვლადიმერ აბგაროვი საბეჭდ მანქანასთან.

უკეთესი ხარისხისათვის

ძველად, მეფის ხელისუფლების დროს, საშუალო სასწავლებლებიდან პოლიგრაფიულ წარმოებაში მოსიზდა წასვლა. ეს იყო 1913 წელს. დიალ. ჩემი შრომითი საქმიანობა სტამბაში დაიწყო. სტამბაში მივიდე პირველი რევოლუციური ნათლობა. ჩავები არალეგალურ მუშაობაში. ვიწყობდი და ვავრცელებდი არალეგალურ ბოლშევიკურ ფურცლებს.

ჩვენ მაშინ ალგებრაფრთვანებდა და გვრაზნავდა კომუნისტური პარტიის დიდი მეგალიის — ლენინის მარადული აზრები. ჯიბეები და უბეები სავსე გვქონდა ცარიზმის მიერ აკრძალული ლიტერატურით. ვეცნობოდით „მარქსისტულ წერგნებსა და გაზეთებს, ვემზადებოდით დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მოსაწყობად.

სწავლა ზარბაზნისდაგა ძლიერიაო, ამბობდა ილია. სწავლისათვის კი საჭირო იყო წიგნი, გაზეთი, ჟურნალი, მაგრამ იმ დროში ყველაფერი ეს მასებისათვის ხელმისაწვდომი როდი იყო.

მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად გახდა შესაძლებელი ბეჭდვითი პროდუქციის მასების საკუთრებად გადაქცევა. საბჭოთა წყობილების დროს არნახული ტემპებით გავთიანდა და წაეიდა წინ პოლიგრაფიული მრეწველობა.

ლენინტიპები, ახალი სამეკვნი მანქანები, ახალი საამქრები მანქანები და დანგები ჩადგნენ ,,ოგიში და ძველი „ბაბასპერი“ პოლიგრაფიული ინარიდები სამუზეუმო გახდა.

მუმყაინი სარდაფებიდან სტამბები ნათელ, მზიან, სუფთა ბინებში ამოვიდა. გაუმჯობესდა უსაფრთხოების ტექნიკა და დაინერგა გეგმიანი მუშაობა.

ჩვენი უნივერსიტეტის სტამბა, რომელიც ამ ათეულ წელზე მეტია არსებობს, ამჟამად დიდ ალმავლობას განიცდის. მოგაწყვეთ მისი რეკონსტრუქცია, შეეიძინეთ ახალი მანქანები, ინერგება შრომის ახალი ტექნოლოგიური პროცესები, ვიზრდა სტამბის ძალოვნება.

ჩვენი სტამბა მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით ხედგება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 42-ე წლისთავს.

ახლა ჩვენი სამბრძოლო ამოცანა ისაა მდგომარეობა, რომ გავიუმჯობესოთ ჩვენი სტამბის პროდუქციის ხარისხი, ყოველდღიურად ვზრუნთ შრომის ნაყოფიერება. ჩვენი სტამბის მთელი კოლექტივი ერთსულოვნად ირაზმება მის წინაშე მდგარი ამ ამოცანის წარმატებით გადასაწყვეტად.

ვ. ცაბარეიშვილი,
უნივერსიტეტის სტამბის დირექტორი.

თბილისის სტამბა 250 წლისაა

* * *

ალ. გაბესკირია,
უნივერსიტეტის გამომცემლობის დირექტორი.

ვახტანგ VI-ის მეფობის წლებში გაფურჩქნა და აყვავდა დროებით მიძინებული ქართული კულტურა. მაშინ მოღვაწეობდნენ ისეთი დიდი ადამიანები, როგორიც იყვნენ: სულხან-საბა ორბელიანი, ვახუშტი ბატონიშვილი და სხვ. დადგა დრო, როცა ხმალთან ერთად ეროვნული კულტურის დასაცავად საჭირო გახდა ბეჭდული წიგნი, რომელიც ქართული საზოგადოებრიობის ინტელექტუალური ცხოვრების სარკე უნდა გამხდარიყო.

ქართული წიგნის გამოსაცემად საჭირო იყო ქართული სტამბის დაარსება. ეს დიდ სახელმწიფოებრივ საქმედ ჩათვალა ვახტანგ VI-მ და მან თვითონ მოაკიდა ხელი ქართული ეროვნული სტამბის ორგანიზაციას. 1709 წელს ქალაქ თბილისში პირველად ბეჭდური ასოებით ოვალი გახდა ქართულმა აზრმა და სიტყვამ. პირველად ვახტანგ VI-ის ხელმძღვანელობით ამ სტამბაში დაიბეჭდა ქართული მწერლობის სამაყე შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.

ვახტანგის სტამბის არსებობა ხანმოკლე იყო. ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილი და გამოცემული წიგნებიდან ჩვენთვის ცნობილია ოცამდე სახელწოდება. უნდა კეფიქროთ, რომ 1723—1747 წლებში საქართველოში დამპყრობელთა სისტემატური შემოსევების გამო ქართული კულტურის მრავალ საგანძურთან ერთად, ალბათ, დასამარდა და მიწად იქცა ბევრი ქართული წიგნი და დასაბეჭდად გამზადებული ხელნაწერიც.

* * *

პირველი ქართული გაზეთი 1819 წელს გამოიცა. გიიხსნა ახალ-ახალი სტამბები და საფუძველი ჩაეყარა წიგნების, ჟურნალებისა და გაზეთების გამოცემის საქმეს. მიუხედავად ამისა, რომ მონარქისტული ხელისუფლების პირობებში სასტამბო საქმეს არ გაწეულდა დიდი ალმავლობა, მაშინდელმა ჩამორჩენილმა პოლიგრაფიამ მაინც დიდი როლი შეასრულა ადამიანების სულიერ გარდაქმნაში, ადამიანების გონების ამაღლებაში. ქართული სტამბების საშუალებით დაიბეჭდა და გავრცელდა ისეთი ლიტერატურა, რომელმაც ხალხს სინათლე ჰოქფინა, მათ გონებას მძიმე ჯაჭვი მოხსნა. გაზეთის, ჟურნალისა და წიგნის საშუალებით ადამიანმა დაიწყო თავისუფლებისათვის ბრძოლა. ბეჭდურმა პროდუქციამ დიდი სამეგი გაკეთა მშრომელი მასების პოლიტიკურად გამოფხიზლების საქმეში. ვინ არ იცის, რა დიდი როლი შეასრულა ავლაბრის არალეგალურმა სტამბამ, რომელიც ბეჭდავდა მომზადებულსა და მაორგანიზებელ ფურცლებს. ვინ არ იცის გაზეთ „ბრძოლის“ როლი მეშვთა კლასის რევოლუციონერი დარაზმვის საქმეში. სტამბის ბეჭდური პროდუქციის საშუალებით გაიცნო ხალხმა რადიშჩევი, ლომონოსოვი, დერჟავინი, პუშკინი, გონჩაროვი, ტოლსტოი, რუსთაველი, „სულხან-საბა, გურამიშვილი, ბესიკი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი და სხვები.

არა მარტო მოკმედებით, არამედ დაბეჭდილი აზრებითაც დაანთეს 1905 წლის რევოლუციისა და ოქტომბრის რევოლუციის კოცონი ლენინმა, სტალინმა და მათმა თანამებრძოლებმა და დღესაც მთელი მოწინავე კაცობრიობა სტამბის, უკეე თანამედროვე ტექნიკით შეიარაღებული პოლიგრაფიის ნაბეჭდი პროდუქციის საშუალებითაც იკაფავს გზას უკეთესი მომავლისაკენ, კომუნიზმისაკენ.

ჯერ კიდევ ყველასათვის კარგად ცნობილ ქართველ მოღვაწეს დიმიტრი ყიფიანს კარგად ესმოდა სტამბის მნიშვნელობა. იგი ქართველი გაზეთის როლის შესახებ წერდა: ვინ არის ამ ახლანდელ ჩვენს წყობილებაში ჩვენი წინამორბედი, ჩვენი დამმოძღვარელი, ჩვენი მეგობარი და ჩვენი მეინახე? ეს არის სტამბა, ეს არის ბეჭდვა ...

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან სტამბები გამრავლდა. სტამბის პროლეტარიატიც თანდათანობით იზრდებოდა, თანდათანობით იწრთობოდა რევოლუციური ბრძოლებისათვის და პრაქტიკულ მონაწილეობას იღებდა რევოლუციურ მუშაობაში. ჩვენში, საქართველოში გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი და განსაკუთრებით, ცხრაასიანი წლები აღინიშნება სტამბის მუშათა დიდი რევოლუციური გამოფხიზლებით. 1905 წლის რევოლუციის ხანძარს დანარჩენ მოწინავე მუშებთან ერთად აღვივებდნენ სტამბის მუშებიც. ოქტომბრის რევოლუციის ღღეებში სტამბის მუშები დიდი თუ პატარა ფაბრიკებისა და ქარხნების მუშებთან ერთად ებრძოდნენ კონტრრევოლუციის შავბნელ ძალებს. აღსანიშნავია, რომ არა ერთსა და ორ პოეტს უმღერია სტამბის მუშებისათვის.

ქართულ მწერლობაში დემოკრატიული მიმართულების ერთი მთავარი წარმომადგენელთაგანი პოეტი ირიდონ ეკეოთაშვილი 1900 წელს დაწერილ ლექსში „სიმღერა ასოთ-მწყობისა“ უმღერის სტამბის ასოთამწყობს, რომელიც აწყობს, თან კითხულობს და კარგადაც ერკვევა „სიმართლეში“.

აი, ერთი ადგილი ამ ლექსიდან:

ჩვენ სულ ვაწყობთ ერთმანეთზე
პაწაწინა ლითონ-რკინას,
ზოგი აქეთ, ზოგი იქით,
ზოგი კიდევ განაპირას.

აარჩიე, რიგზე დადე,
გააკეთე რკინის ბადე,
ან-თან ბანი, გან-თან დონი
და ერთმანეთს შეუფარდე.

. . . . . .

ეჰ, რა ვუყოთ, „მოწინავე“
დღეს გზეთში კარგი არი,
„სიმარილ“ და „დამაშვრალ“
ცხელ-ცხელები სულ აქ არი.

საყვარელი პოეტის ირიდიონ ეკეოთაშვილის ეს ლექსი ყველა ასოთამწყობმა ზეპირად იცოდა.

ქართულ სტამბაში გაიზარდნენ ჩვენი ეპოქის ისეთი მოწინავე ასოთამწყობები, როგორიც იყვნენ სილიბისტრო თოდრია, ვიქტორ წულაძე, ვანო ბოლქვაძე. სტამბიდან მწერლობაში მოვიდნენ ყველასათვის ცნობილი მწერლები — რაფიელ გვეტაძე, იაკინთე ლისაშვილი. ჩვენი გამომცემლობის სტამბაში დირექტორად მუშაობს ძველად არალეგალურ ბოლშევიკურ სტამბაში მომუშავე პოლიგრაფისტი ამხ. შალვა ცაგარეიშვილი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოს პოლიგრაფია წარმოადგენდა დაკუმეცებულ პატარ-პატარა ერძოთ საწარმოს. მაშინდელი პოლიგრაფიული საწარმოები ძალიან მცირე ტირაჟით უშვებდნენ წიგნებს, ჟურნალებს, გაზეთებს.

საბჭოთა საქართველოში პოლიგრაფიულ ბაზის აღმავლობის შესახებ მეტყველებენ შემდეგი ციფრები: სტამბის დაარსების პერიოდიდან 1921 წლამდე— საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე—სულ გამოცემულია ექვსათასამდე სახელწოდების წიგნი, მაშინ, როცა სამ-

ვახტანგის სტამბა

ახლახან ქართველმა საზოგადოებრიობამ ზეიმით აღნიშნა ეროვნული სტამბის 250 წლისთავი. თბილისში ტარებულა ქართული სტამბისა, რომელიც თავის ისტორიას 1709 წლიდან თვლის, უდრტვინო დიდი მნიშვნელობის კულტურულ-ისტორიული მოვლენა იყო.

ქართული წიგნის ბეჭდვა უფრო ადრეულ ხანაში დიოწყო. ჯერ კიდევ 1629 წელს, რიშში გამოქვეყნდა ქართულ-იტალიური ლექსიკონი და ქართული ანბანი. ლოკავნიოთო. ორივე წიგნის გამოცემა დაკავშირებულია ამ დროისთვის ფრიად ცნობილი მოღვაწის ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის (ნიკიფორე ირბახის) სახელთან.

მე-18 საუკუნის დამდეგს რუსეთს გახიზნულმა არჩილ მეფემ (1647—1713) მოსკოვში დაარსა ქართული სტამბა და გაბრალა სიგამოცემლო საქმიანობა; მან 1705 წელს გამოაქვეყნა „დავითნი". მიეხედავად ალნიშნულისა, არც რომისა და არც მოსკოვის სტამბებს არ შეესრულებია ისეთი დიდი როლი ქართველთა კულტურულ ცხოვრებაში, როგორც ეს წლად ხვდა თბილისის სტამბას. თბილისში სტამბის დაარსება სავსებით კანონზომიერი შედეგი იყო ქართული კულტურის ამ ადგილობისა, რომელსაც იგი განიდიდა მე-18 საუკუნის დამდეგს.

ვახტანგის ორმაშინაფასიანი კულტურულ-სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის სიერთო ფონზე ადგილი გასაგებია თბილისში ქართული სტამბის დაარსება. ეპოქის კულტურულ-შემოქმედებითი ცხოვრების დირსეულ მეთაურს არ შეძლებენდა ყურადღება არ მიექცია ამ საქმისათვის და არ ეზრუნა ქართული სტამბის გამართვაზე.

ვახტანგმა და მისმა თანამშრომლებმა მიზნად სასულიერო წიგნების შესწორება, დაბეჭდება და პუბლიკაცია დასახეს და მთელი თავისი საქმიანობა პირველ ხანებში ამ მიზნისაკენ წარმართეს. მაგრამ ზემოთქმული, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ვახტანგისა და მისი დასის მიზანს მხოლოდ საკულტიო-სასულიერო წიგნების გამოქვეყნება წარმოდგენდა. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ გაუგებარი იქნებოდა თბილისის სტამბის მიერ ქართული კლასიკური მწერლობის გვიანგვინის „ეეფხისტყაოსნისა" და ზოგიერთი სხვა წიგნის გამოცემაც.

მართალია, თბილისის სტამბა მეტწილად სამღვდელმსახურო წიგნებს აქვეყნებდა, სტამბის მუშაკნი ძირითადად აქედ წარმართავდნენ მუშაობას, მაგრამ, საგულისხმოა, რომ სტამბის მოწყობისა და გამართვის, წიგნების მომზადებისა და პუბლიკაციის ინიციატორი საერო ხელისუფლების მეთაური ვახტანგ მეექვსე იყო.

ქართველ საზოგადოებრიობას წიგნის ბეჭდვის ტექნიკა ადრეე ინტერესებდა და იზიდავდა, მაგრამ პრაქტიკული ნამიჯნი გადასადგმელად ხელსაყრელი პირობები ვახტანგის გმგეღლობამდე არ არსებობდა. ამ დიდი მოსიის შესრულება ვახტანგს ხვდა წილად.

როგორც ჩანს, ვახტანგს ელახტინიდან ჩამოუყვანია სტამბის დახელოვნებული მეშაკი, მიხეილ უნგროვლახელი, რომელიც თავის მხრივ, ქართველი მოღვაწის რუმინული წარმოშობრობის თავდადებული მეშაკის ანთიმოზის მოწაფე ყოფილა.

მ. უნგროვლახელი ვახტანგმა დიდის პატივით მიიღო და სათანადო პირობებიც შეუქმნა. მისი მეთაურობითა და წინამძღოლობით მალე გაიმართა ქართული სტამბა. ზოგიერთი წყაროს მიხედვით ვახტანგს, თითქოსდა, სტამბაც უცხოთეთიდან ჩამოუტანია, მაგრამ სათანადო მასალის გულდასმითი შესწავლით უცილობელი ხდება, რომ სტამბა კი არ ჩამოუტანიათ, არამედ აქვე გაუმართავთ.

მიხეილ უნგროვლახელთან ერთად გულმოდგინედ იღვწოდნენ ქართველი მწიგნობრები: ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილი მიქაელი, ნ. ორბელიანი, გერასიმე მღვდელ-მონაზონი, კვიპრიანე სამთავნელი, გარსევან ყოფილი გბარიელი, ზარკოზ მხატვარი და სხვა.

ვახტანგის სტამბამ სულ 14 წელი იარსება და 20 სახელწოდების წიგნი გამოაქვეყნა. აქ, როგორც ალნიშნეთ, იყო არა მარტო საკულტიო-სასულიერო შინაარსის წიგნები, არამედ საეროც („ეეფხისტყაოსანი"), მეცნიერულიც („ქმნულების ცოდნის წიგნი") და სხვ.

ვახტანგის სტამბა („სტამბის სახლეობა") მტკვრის პირას, ანჩისხატსა და სიონს შორის უნდა ყოფილიყო.

ვახტანგს სტამბის პროდუქცია ყურადღებას იმსახურებს არა მარტო შინაარსობლივ-თემატიკური თვალსაზრისით, არამედ მხატვრულ-ტექნიკური კუთხერის მიღალი დონითაც. დიდ ინტერესს იწვევს და მოწონებას იმსახურებს წიგნების შემკულობა მხატვრულ-პოეტიკიფიეთ თვალსაზრისით.

მე-18 საუკუნის ოციან წლებში ეროვნულ-შორისო ვითარება მეტისმეტად დაძაბა. სამხრეთში შექმნილი მძიმე ვითარების შედეგად ვახტანგს ქართლში ადარ ედგომებოდა და. შრავალრიცხოვანი ამალით ჩრდილოეთის გზას გადუდგა. სხვათა შორის, მის ამალაში იყვნენ თბილისის სტამბის გამოჩენილი მოღვაწენიც — ნ. ორბელიანი, მღვდელ-მონაზონი გერასიმე, გიორგი მხატვარი და სხვ.

ეცხო მტრის მოძალების შედეგად ვახტანგის სტამბა ჩაკვდა და გაუკაცრიელდა და მხოლოდ გვიან ხანაში აღიდგა ერეკლე მეორისა და ანტონ კათოლიკოსის მეოდენობით. ამ პირებმა აღიდგინეს სტამბა და,—პაპუნა ორბელიანის თქმით,— „აღაგსეს წიგნითა ქართლი".

დოც. ლ. მენაბდე

მოწონავე ახოთამწყობი ახელ ელიზბარაშვილი ნ წელია რაც უნივერსიტეტის სტამბაში მუშაობს და ამ ხნის განმავლობაში რამდენიმე ათეული წიგნი აწყო ქართულ, რუსულ და უცხო ენებზე.

ა. ელიზბარაშვილი ჩვენი გაზეთის მეგრნაპეტეაა. იგი ყოველთვის მონდომებითა და კეთილსინდისიერად ასრულებს ამ მოვალეობას.

სურათზე ა. ელიზბარაშვილი მუშაობს გაზეთის შეკვრაზე.

ჭოთა საქართველოში ოცდაცამეტ ათასზე მეტი წიგნი გამოიცა — 166 მილიონი საერთო ტირაჟით.

1913 წელს საქართველოში გამოცემული იყო 694 წიგნი 965 ათასი საერთო ტირაჟით, 1956 წელს კი ჩვენი რესპუბლიკის გამომცემლობებმა გამოსცეს 1774 სახელწოდების წიგნი — ათი მილიონი საერთო ტირაჟით.

საბჭოთა საქართველოში სახალო მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად ალმავლობის გზით მიემართებოდა პოლიგრაფიული პროგრესიც. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით გაიზარდა მოთხოვნილება ბეჭდურ გამოცემებზე, ხოლო ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი გახდა პოლიგრაფიული ბაზის გაფართოება. სახალხო განათლების ფართად დანერგვამ, მრავალი კულტურული და მეცნიერული დაწესებულების გახსნამ დიდი მოთხოვნები წაუყენა პოლიგრაფიას, ახლა ჩვენს რესპუბლიკაში თბილისს, ქუთაისს, ბათუმს, სოხუმს, სტალინირისა და სხვა ქალაქების გარდა ყველა რაიონსე ცენტრსაც აქვს თავისი საკუთარი კეთილშობილი სტამბა. საკუთარი სტამბებით უზრუნველყოფილნი არიან წამყვანი სამეცნიერო დაწესებულებები, რომლებთანაც ჩამოყალიბებულია გამომცემლობები.

* * *

დიდ საუწყვამო დაწესებულებათა შორის ჩვენი უნივერსიტეტის გამომცემლობა ეკუთვნა წარმოება როდი. იგი ბეჭდავს თავისი მეცნიერი თანამშრომლებს მიერ დაწერილ სახელმძღვანელოებს, დამხმარე სახელმძღვანელოებს, მონოგრაფიებს, სამეცნიერო შრომებს, სასწავლო პროგრამებს და სხვ.

უნივერსიტეტის მეცნიერ-მუშაკებმა დღემდე გამოიცეს 8-ათასზე მეტი სამეცნიერო შრომა. მათი ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი დაბეჭდილია უნივერსიტეტის სტამბაში. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ჩვენი სტამბა ყოველწლიურად უშვებდა 700—800 სასტამბო ნაბეჭდ თაბახს, რაც სრულიადაც ვერ აკმაყოფილებდა უნივერსიტეტის მეცნიერ მუშაკთა გაზრდილ მოთხოვნილებას. მიმდინარე წელს რექტორატის მითითებითა და უშუალო ხელმძღვანელობით მიზნად იქნა დასახული ქართველი ეროვნული სტამბის ორას ორმოცდაათი წლისთავისათვის განხორციელებულიყო ჩვენი სტამბის რეკონსტრუქცია. ამ სადღესასწაულო თარიღისათვის რეკონსტრუქცია დამთავრებულია. ახალი მანქანების დაგდამ, ტექნიკური პროგრესის დანერგვამ სტამბის ძალოვანება გაზარდა ორიათას სასტამბო თაბახამდე. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი გამომცემლობა ყოველწლიურად გამოცემს დაახლოებით 80—100 ავტორის ოცი-ოც თაბახიან ნაშრომს.

ინვარში დაიდგმება კიდევ ორი ახალი ქართული ლინოტიპი. შეძენილი იქნება წიგნის ასაკინძი მანქანები, რომელთა საშუალებით კიდევ უფრო გაიზრდება სტამბის არა მარტო ძალოვანება, არამედ გაუმჯობესდება წიგნის გამოცემის ხარისხიც.

* * *

ამრიგად. არასოდეს იმდენი წიგნი, ჟურნალი, გაზეთი არ გამოცემულა ჩვენს რესპუბლიკაში, რამდენიც ახლა, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში. არასოდეს იმდენი მკითხველი არ პყოლია წიგნს, რამდენიც დღეს. არასოდეს ისე მდიდარი არ ყოფილა ჩვენი წიგნის მაღალიბების ეიტინებები, როგორც ახლა. ვიტრინებში ცოცხლდებიან უძველეს და უახლეს საუკუნეთა მოაზროვნენი, ფილოსოფოსები, მწერლები, არქიტექტორები, მხატვრები. ამაყად გამოიყურებიან ვიტრინებიდან თანამედროვე ეპოქის ინტელექტუალური საკუთრის საუკეთესო წარმომადგენლები. ეს სულიერი და ინტელექტუალური პროდუქცია დამზადებულია ჩვენს სტამბებში, რომლებიც ამეფი და მიღიონი ტირაჟით ხალხში ავრცელებს მართალია და ჭეკეულნათვის საჭირო აზრებს.

ჩვენ, გამომცემლობისა და სტამბის მუშაკებმა კარგად ვიცით, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბეჭდურ პროდუქციას ჩვენი ხალხის, განსაკუთრებით, ჩვენი ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში. სწორედ ამიტომაც ახლა, ეროვნული ქართული სტამბის 250 წლისთავზე სიტყვას ვიძღვენით, რომ დიდი აღფრთოვანებით, პატრიოტის და მთავრობის მითითებათა განხორციელებით ენერგიულად ვიბრძოლეთ ჩვენი პოლიგრაფიული ბაზის შემდგომი გაფართოებისათვის, ტექნიკური პროგრესის შემდგომი დანერგვისათვის, წიგნური პროდუქციის უკეთესი ხარისხისათვის.

უნივერსიტეტის რექტორატის, პარტიული, პროფესიული, კომკავშრული ორგანიზაციებისა და ჩვენი სამეცნიერო ორგანიზაციების ყოველდღიური დახმარებით, იმედი გვაქვს, მოვიპოვებთ ახალ-ახალ გამარჯვებებს და. ეს იქნება ჩვენი წლიდან შეიდწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების საქმეში.

წარსულის შედეგები და მომავლის ამოცანები

ჩატარდა უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების V საორგანიზაციო კონფერენცია, რომელმაც დაჯამა გასული წლის მანძილზე ჩატარებული მუშაობის შედეგები, ობიექტური შეფასება მისცა საზოგადოების წარმატება-ნაკლოვანებებს და განსაზღვრა მომავალი მუშაობის უმთავრესი ამოცანები.

სამეცნიერო საზოგადოებას გასულ სასწავლო წელს ჩატარებული აქვს ნაყოფიერი და შინაარსიანი მუშაობა. მის 48 სამეცნიერო წრეში წაკითხულია 600-მდე მოხსენება, რომელთა საუკეთესო ნაწილი (180 მოხსენება) გატანილია სტუდენტთა XXI სამეცნიერო კონფერენციაზე.

XXI კონფერენციის სამეცნიერო-ორგანიზაციულმა დონემ ცხადყო ჩვენი მუშაობის უდავო გაუმჯობესება — წინა წლებთან შედარებით სა-გრძნობლად შემცირდა დასაბარებელ-ხოვანი რეფერატების, კომპილაციური ხასიათის ნაშრომთა რიცხვი. მოხსენებათა უმეტესობა მათი ავტორების დამოუკიდებელი კვლევის და დაკვირვების შედეგს წარმოადგენდა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მდგომარეობა სექციების სხდომებზე სტუდენტთა დასწრებისა და კამათში მონაწილეობის მხრივ.

გასულ წელს საინტერესოდ ჩატარდა აგრეთვე რიგი თემატიკური კონფერენციებისა: თბილისის 1 500 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთო-საუნივერსიტეტო კონფერენცია, ხკკპ ნოემბრის პლენუმის დადგენილებებისადმი მიძღვნილი კონფერენცია ქიმიის ფაკულტეტზე, ბაბტრიონის გმირული აჯანყების 300 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია ისტორიის ფაკულტეტზე და სხვ. საზოგადოების 26 წევრმა მიიღო მონაწილეობა მოსკოვის, კიევის, რიგის, სამარყანდისა და საკ]ოთა კავშირის სხვა უნივერსიტეტების სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში.

აღნიშნული წარმატებები მუშაობის შემდგომი ამაღლების საწინდარია, მაგრამ მომავლისათვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იმ სიძნელეებისა და ხარვეზების გაოვალისწინება, რომლებსაც თავი ვერ გავათავეთ განვლილ საანგარიშო პერიოდში. აქ იგულისხმება როგორც ცალკეული ფაკულტეტებისა და წრეების სპეციფიკური ნაკლოვანებები, აგრეთვე საერთო, მთელი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სიძნელეები. ახე, მაგალითად, მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სამეცნიერო წრეების მუშაობაში, რომელიც გამოირჩევა მაღალი სამეცნიერო დონით, ხუსტადაა ჩაბმული დაბალი კურსების სტუდენტები.

საჭიროა გაიზარდოს წრის აქტიურ წევრთა რიცხვი და წლის მანძილზე წაკითხულ მოხსენებათა რაოდენობა ქიმიის ფაკულტეტზე, რომელიც საზოგადოების ერთ-ერთ მოწინავე განყოფილებას წარმოადგენს;

ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც ცნობილია სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობის საუკეთესო ტრადიციით, მეტი ყურადღება უნდა მიექციოს საბჭოური პერიოდის ლიტერატურის საკითხთა დამუშავებას.

ისტორიის ფაკულტეტზე სრულ გადასახადებელ საკრიტიკს საბჭოთა კავშირის ისტორიისა და კომუნისტური პარტიის ისტორიის წრის მუშაობა.

აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე სტუდენტთა სამეცნიერო საბჭომ უნდა უზრუნველყოს ისტორიის წრის მუშაობა, რომელიც დღემდე მხოლოდ ფორმალურად არსებობდა.

მსგავსი კონკრეტული ამოცანები დგას საზოგადოების ყოველი საფაკულტეტო განყოფილების, საზოგადოების ყოველი სამეცნიერო წრის წინაშე.

მომდინარე წელს საორგანიზაციო კამპანიის ადრეულად მოთავება რამდენადმე გვიხანგრძლივებს სამეცნიერო მუშაობის პერიოდს. მუშაობის ნორმალურ კალაპოტში შეყვანა ბევრაადა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად დაჩქარდება კათედრებზე თემატიკის შემუშავება-დამტკიცება. და საფაკულტეტო სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოების მიერ მათი დროულად წარმოდგენა სამეცნიერო საზოგადოების საუნივერსიტეტო საბჭოში.

თემატიკა ჩვენი სახელმძღვანელო გეგმაა, რომელიც ყოველ მეზეზს გარეშე ზედმიწევნით უნდა სრულდებოდეს. უნდა განვასხვავებდეთ ერთმანეთისაგან წრის საკარიოდან თემატიკასა და რეალურ თემატიკას. საკარიოდან თემატიკა — ეს კათედრის მიერ რეკომენდებული თემებია, მისი მთლიანად შესრულება ხშირად არც შესაძლებელია და არც აუცილებელი. რაც შეეხება რეალურ თემატიკას, რომელშიაც ინულისხმება წრის წევრების მიერ კონკრეტულად დასამუშავებელი თემები (სათანადო ვადის ალნიშვნით), ეს უკვე მტკიცე გეგმაა და მის განხორციელებას მკაცრი კონტროლი უნდა ეწიოდეს.

ჩვენი საზოგადოების, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა სამეცნიერო ორგანიზაციების, მოავარი საკითხი, რომელიც მთელი მუშაობის ქვაკუთხედად უნდა იქცეს, არის საკითხი ჩვენი თეორიული მუშაობის დაახლოებისა ცოცხალ პრაქტიკასთან, ჩვენი მუშაობის აყვანისა თანამედროვე მეცნიერებისა და წარმოების მოთხოვნილებათა სიმაღლეზე.

შარშან სამეცნიერო საზოგადოების აქტივის თათბირზე, რომელიც მიეძღვნა პარტიის მიერ საბჭთა მეცნიერებისა და უმაღლესი სკოლის წინაშე დასახული ახალი ამოცანების შესაბამისად ჩვენი მუშაობის გადაალსებების საკითხს, წამოყენებული იყო რიგი საყურადღებო წინადადებებისა. ამ წინადადებათა განხორციელებას წარმოადგენს მომდინარე წლიდან გამოთვლილთ მათემატიკის სექციის შექმნა მათემატიკის წრეში, მთარგმნელობითი სექციის შექმნა თარგმნის პრაქტიკული ჩვევების ათვისების მიზნით დასავლეთ ევროპის ლიტერატურის წრეში და სხვ. დღის წესრიგში რჩება საკითხი ბიოფიზიკისა და ბიოქიმიის წრეების ჩამოყალიბების შესახებ, რომელიც ჯერჯერობით ვერ განხორციელდა გარკვეულ პრაქტიკულ სირთულეთა გამო.

ჩვენთან ჯერ კიდევ სუსტად წარმოებს საწარმო და პედაგოგიური პრაქტიკის მასალების დამუშავება, სუსტად ვაწარმოებთ საშეფო მუშაობას საწარმოებსა და საშუალო სკოლებში.

მომდინარე წლიდან სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების საბჭოში შექმნილია ახალი სექტორი — წარმოებასთან კავშირის კამპანიებისა და საშეფო მუშაობის სექტორი, რომელიც შეისწავლის ამ თვალსაზრისით ცალკეული წრეების სპეციფიკას და შეიმუშავებს კონკრეტულ ღონისძიებებს.

არსებითად უნდა გადახალისდეს კულტმასობრივი სექტორის მუშაობა, რომელმაც უნდა მოიმარჯვოს მუშაობის ისეთი ფორმები, როგორიცაა დისპუტები მეცნიერებისა და ხელოვნების ცალკეულ საკითხებზე. შეხვედრები საბჭოთა კავშირის საუკეთესო მეცნიერებთან და სხვ. კავშირურთიერთობის სექტორმა მთელი თავისი მუშაობა უნდა წარმართოს ჩვენი გამოცდილების გაზიარებისა და საბჭოური თუ უცხოური სტუდენტთა სამეცნიერო ორგანიზაციების გამოცდილების ათვისების მიმართულებით.

უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებას ყველა მონაცემი აქვს იმისათვის, რომ თავისი მუშაობა საბჭოთა მეცნიერებისა და უმაღლესი სკოლის ყველაზე აქტუალურ მოთხოვნილებათა დონეზე აიყვანოს.

ა. ალექსიძე.

თსუ სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარე.

პროფგიუკრო ახალი ამოცანების წინაშე

კომუნისტური პარტია პროფკავშირების წინაშე ყოველთვის დიდ ამოცანებს აყენებდა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში. „სკკპ XXI კონგრესის მიერნაა, — ნათქვამია ამ კონგრესის რეზოლუციაში,—რომ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გრანდიოზული გეგმის განხორციელება პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადან მოითხოვს შემდგომ გაფართოებასან მოელი მუშაობა საბჭოთა ადამიანების აღზრდისათვის, მათი შეგნებისა და აქტივობის ამაღლებისათვის, კოლა და აქტივობის ამაღლებისათვის, კოლექტივიზმისა და შრომისმოყვარეობის, საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნების სულის,ყველგანი, სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და პატრიოტიზმის, კომუნისტური მორალის მაღალი პრინციპების დაცვის სულისკვეთებით ახალი ადამიანის ფორმირებისათვის“.

ამ ამოცანების განხორციელების საქმეში ერთ-ერთი წამყვანი როლი უნდა ითამაშოს უპირველეს სასწავლებლის მუშაკთა პროფესიულმა კავშირმა. უნივერსიტეტმა უნდა მრავმზადოს ისეთი კადრი,რომელიც არა მარტო საკუთრივ იქნება კომუნისტური საზოგადების აქტიური მშენებელი, არამედ თვითონვე შეძლებს აღზარდოს მომავალი თაობა კომუნისტური შენებლობ. ამ საქმეში უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს ქმედითი დახმარება უნდა გაუწიოს პროფესიულმა კავშირმა.

პარტიის მიერ დასახული ამოცანები კარგად აქვთ შეგნებული მომავალ ისტორიკოსებს. ამიტომ იყო, რომ მათი პროფორგანიზაციის საანგარიშო კრება ამა წლის 15 ოქტომბერს მეტად საქმიანად ჩატარდა. კრებაზე სიტყვით გამოსულებმა საკმაოდ შეაქეს. პროფბიუროს მუშაობა, კერძოდ აღინიშნა, რომ პროფორგანიზაციის ინიციატივით მოეწყო რამდენიმე საინტერესო ღონისძიება, კინო-თეატრებში კოლექტიური სეანსი ჩატარდა. პროფკავშირებმა ნამდვილი დახმარება გამოიჩინეს ზუგდიდის რაიონის ბერეთის ფერმაში ჩასვლაზე. ზედაფრის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში მუშაობის დროს, სტუდენტები მეტწილად დღიურ დავალებას 250 პროცენტით ასრულებდნენ. ამ მხრივ ლასაზმაგი არიან სტუდენტები ვ. ჩემია, გ. კვიტაშვილი, ი. აზნარაშვილი, ვ. გოგაძე, ნ. თედოიშვილი, ნ. თამბაგარი, ვ. ხერკელაძე, ძ. მუშკუდიანი, ნ. გაბეხაძე, ნ. ოთხვანი და სხვ. პროფორგანიზაცია დახმარებას უწევდა მატერიალურად ხელმოკლე სტუდენტებს.

მაგრამ სიტყვებით გამოსული ამხანაგები მარტო წარმატებებს როდი შეეხნენ. მათ მკაცრად და საკმაო ობიექტურობით გააკრიტიკეს პროფბიუროს მუშაობა, მისი უარყოფითი მხარეები. კრებაზე საქმიანი კრიტიკით გამოვიდნენ ამხ. ს. ქურდაძე, ნ. სეანიძე, ნ. ალდგომელაშვილი, ა. წილოსანი და სხვები.

სუტყვა იყო შედგენილი ამხ. ზ. ჯანკვეტაძის საანგარიშო მოხსენება, რომელმაც ვერ დააკმაყოფილა მსმენელები. პროფკავშირის მრავალმხრივ მოღვაწეობაზე შეიძლებოდა ისეთი მოხსენების გაკეთება, რომელიც საკმე იქნებოდა ცხოვრებისეული ამბებითა და მაგალითებით, რაც მას საინტერესოს გახდიდა. ამხ. ჯანკვეტაძემ ვერ შეძლო კრებისათვის სისრულით გაეცნო ბიუროს მიერ ჩატარებული მუშაობა საანგარიშო პერიოდში.

საანგარიშო პერიოდში (წელიწადი და ათი თვე) პროფბიუროს მუშაობაში ხარვეზი იყო ჩავარდნები, განსაკუთრებით მაშინ, როცა პროფბიუროს თავმჯდომარედ იყო ამხ. ხუბუტია. მაგრამ შემდეგ საქმეში ჩაერია ფაკულტეტის პარტბიუროო, შეეცალეთ იქნა პროფბიუროს თავმჯდომარე და მდგომარეობა რამდენადმე გამოსწორდა.

თითქმის ყველამ აღნიშნა, რომ ბიუროს საანგარიშო პერიოდში ვერ შეძლო ვერც ერთი ექსკურსიის გატარება საკუთარ ხარჯზე. ამ საქმეში პროფბიუროს სათანადო დახმარებას ვერ უწევდა უნივერსიტეტის სტუდენტთა პროფკომიც. იშვიათად ტარდებოდა შეხვედრები კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეებთან, ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ ადამიანებთან.

პროფბიუროო ქმედთი დახმარებას ვერ უწევდა სტუდენტებს მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეში.

ასე, მაგალითად, სტუდენტთა ქალაქში მცხოვრები სტუდენტები ჩიეიან, რომ საერთო საცხოვრებლის ოთახები არ არის კეთილმოწყობილი, არა აქვთ საკმაო რაოდენობით კაარტები და, რაკი აქვთ, ისიც მოძველებული და უვარგისია. ცუდად მუშაობს სტუდქალაქის რადიოქსელი, ყველა ოთახს არა აქვს რადიორეპროდუქტორი და სხვ.

ფაკულტეტის ალკა ბიუროს მდივანმა ამხ. სვანიძემ გულისტკივილით აღნიშნა, რომ პროფბიუროო და ალკა ბიუროო ვერ მუშაობდნენ შეთანხმებულად, რაც არასასურველ დაღს ასვამდა მთელ ორგანიზაციულ მუშაობას.

ვრცელი სიტყვით გამოვიდა ამხ. ზ. შველიძე. მან აღნიშნა, რომ კრებამ სათანადოდ არ გაამახვილა ყურადღება ისეთ საკითხზე, როგორიცაა სტუდენტთა აკადემიური მოსწრება და დისციპლინის მდგომარეობა.—ჩვენთან ჯერჯერობით,—აღნიშნა მან,—არის შემთხვევა დისციპლინის დარღვევისა. ზოგიერთი სტუდენტი აკადემიური დავალიანების მქონეა, რაც სათანადო დაღს ასვამს ფაკულტეტის საერთო მოსწრების დონეზე. პროფკავშირმა უნდა იბრძოლოს ზარმაცებისა და უწესრიგოთა წინააღმდეგ.

კრებამ დასახა ღონისძიებანი შემდგომში მუშაობის გაუმჯობესებისათვის და აირჩია პროფბიუროს ახალი შემადგენლობა. შვიდი კაცის შემადგენლობით (მ. ჯუღელი, მ. ჩიხრაძე, ლ. ციცქარიშვილი, მ. ნიორაძე, რ. გამეცმლიძე, ჯ. გიორგელიძე, ო. ფხაკაძე).

ახლად აირჩეული ბიუროო თავის მერმინდელ მუშაობაში შეეცდება შეინარჩუნოს ფაკულტეტის საუკეთესო ტრადიციები, გამოასწოროს ყველა ნაკლი, რომელიც აღნიშნული იყო კრებაზე დ, ამასთან, რა თქმა უნდა, გამოიჩინოს შემოქმედებითი ინიციატივა. ბიუროს ყველა წევრი გამსჭვალულია ერთი გრძნობით: ყველაფერი გაკეთოს სტუდენტობისათვის, მათი ინტერესების შესაბამისად. ბიუროს იმედი აქვს, რომ ფაკულტეტის დეკანატი, პარტიული ბიუროო, ისე როგორც წინა წლებში, ქმედთი დახმარებას გაუწევს მის მუშაობას. პროფბიუროო შეეცდება იმუშაოს ფაკულტეტს ალკა ბიუროსთან შეთანხმებულად, მხარდამხარ, ხელიხელჩაკიდებული.

ოგბარ ფხაკაძე,
ისტორიის ფაკულტეტის პროფბიუროს თავმჯდომარე.

ᲗᲔᲝᲠᲘᲣᲚᲛᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲐᲠᲛᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

დაიწყო ახალი სასწავლო წელი პარტიული განათლების ქსელში. წელს ქიმიის ფაკულტეტზე შექმნილია სამუნებისმეტყველო ფილოსოფიის შემსწავლელი სემინარი, რომელშიც გაერთიანებულია სულ 20 კომუნისტი და 9 უპარტიო ამხანაგი. სემინარს ხელმძღვანელობს დოც. ნ. ფირცხალავა. სემინარმა 1 ოქტომბერს ორგანიზებულად დაიწყო მუშაობა. განაწილებული იქნა მომავალი მუშაობის შესახებ მოხსენებათა თემები. შორიგი სემინარის მეცადინეობა ჩატარდება 4 ნოემბერს, სადაც დოც. შ. შარაშენიძე გამოვა მოხსენებით თემაზე — „ფიზიკასა და ქიმიაში ხმარებული ზოგიერთი ძირითადი ცნებების ფილოსოფიური გაგება“. სემინარში მეცადინეობა ჩატარდება თვეში ერთხელ.

მ. ᲮᲣᲜᲓᲐᲫᲔ,
ქიმიის ფაკულტეტის პარტბიუროს მდივანი.

ᲛᲐᲦᲐᲚ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ

დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტთა პროფორგანიზაციაში მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩატარდა საანგარიშო-საარჩევნო კრება.

კრებამ მოისმინა პროფბიუროს თავმჯდომარის ზ. ჩხენკელის მოხსენება პროფბიუროს მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ.

ქამაში გამოსულმა სტუდენტებმა (ზ. კორსაველი, ე. მელქაძე, ლ. ბაღრიშვილი, ი. დოქსოპულო და სხვ.) ილაპარაკეს იმ ნაკლოვანებებზე, რაც პროფბიუროს მუშაობას ახასიათებდა.

პროფორგანიზაციის კრებაშ მიიღო დადგენილება. პროფბიუროს მუშაობის გასაუმჯობესებლად.

პროფბიუროს ახალ შემადგენლობაში კრებამ აირჩია შემდეგი ამხანაგები: მ. ბაქრაძე, ჯ. ჩხიკვაძე, დ. გეგენავა, ლ. ნიკოლაიშვილი, ი. ირემაძე, ლ. ოსიაშვილი, ლ. კობახიძე.

ᲤᲘᲚᲘᲞᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲠ

44 ᲣᲓᲠᲘᲡ 180-Ს

ორჯერ ორი ოთხია,
ოთხჯერ ოთხი — თექვსმეტი,
44 კი არის 180.
არა გგვერთო? არც მეცნიერებას ეგონა აქამდე. ეს პრობლემა სულ ახლახან გადაწყდა და, შესაძლებელია, ჯერჯერობით თქვენც არ იცოდეთ.

როგორ მოხდა ეს?

ეს მოხდა სრულიად შემთხვევით. დიდი აღმოჩენები, საერთოდ, შემთხვევით ხდება.

ფიზიკის ფაკულტეტზე ა. წ. 16 ოქტომბერს უნდა ჩატარებულიყო პროფორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება.

პროფორგანიზაცია თხზეული სტატეა და ნიშნავს პროფკავშირულ ორგანიზაციას. ამ დღეს მას ფიზიკის ფაკულტეტზე მეორე ფინჯნელობაც ჰქონდა: „პროფესორ-მასწავლებელთა და თანამშრომელთა“.

ხოდა, იყო კრება.

კრებას უნდა დასწრებოდა 180-ზე მეტი კაცი. ბევრი უცადეს, თუ ცოტა უცადეს, მოვიდა 44.

ორმოცდაოთხი ასოთხმოცი არ არის. ასე იცოდნენ მანამდე ფიზიკის ფაკულტეტზე და არ იცოდნენ, თუ რა დიდი აღმოჩენის წინაშე იდგნენ.

ყველა აღმოჩენას ჰყავს ავტორი, ხოგის ვინაობა თავიდანვე ცნობილია, ზოგისა, მაგალითად, სტუდენტთა ქალაქში მცხოვრები სტუდენტები ჩიეიან, რომ საერთო საცხოვრებლის ოთახები არ არის კეთილმოწყობილი, არა აქვთ საკმაო რაოდენობით კაარტები და, რაკი აქვთ, ისიც მოძველებული და უვარგისია. ცუდად მუშაობს სტუდქალაქის რადიოქსელი, ყველა ოთახს არა აქვს რადიორეპროდუქტორი და სხვ.

ფაკულტეტის ალკა ბიუროს მდივანმა ამხ. სვანიძემ გულისტკივილით აღნიშნა, რომ პროფბიუროო და ალკა ბიუროო ვერ მუშაობდნენ შეთანხმებულად, რაც არასასურველ დაღს ასვამდა მთელ ორგანიზაციულ მუშაობას.

ვრცელი სიტყვით გამოვიდა ამხ. ზ. შველიძე. მან აღნიშნა, რომ კრებამ სათანადოდ არ გაამახვილა ყურადღება ისეთ საკითხზე, როგორიცაა სტუდენტთა აკადემიური მოსწრება და დისციპლინის მდგომარეობა.—ჩვენთან ჯერჯერობით,—აღნიშნა მან,—არის შემთხვევა დისციპლინის დარღვევისა. ზოგიერთი სტუდენტი აკადემიური დავალიანების მქონეა, რაც სათანადო დაღს ასვამს ფაკულტეტის საერთო მოსწრების დონეზე. პროფკავშირმა უნდა იბრძოლოს ზარმაცებისა და უწესრიგოთა წინააღმდეგ.

კრებამ დასახა ღონისძიებანი შემდგომში მუშაობის გაუმჯობესებისათვის და აირჩია პროფბიუროს ახალი შემადგენლობა. შვიდი კაცის შემადგენლობით (მ. ჯუღელი, მ. ჩიხრაძე, ლ. ციცქარიშვილი, მ. ნიორაძე, რ. გამეცმლიძე, ჯ. გიორგელიძე, ო. ფხაკაძე).

ახლად აირჩეული ბიუროო თავის მერმინდელ მუშაობაში შეეცდება შეინარჩუნოს ფაკულტეტის საუკეთესო ტრადიციები, გამოასწოროს ყველა ნაკლი, რომელიც აღნიშნული იყო კრებაზე დ, ამასთან, რა თქმა უნდა, გამოიჩინოს შემოქმედებითი ინიციატივა. ბიუროს ყველა წევრი გამსჭვალულია ერთი გრძნობით: ყველაფერი გაკეთოს სტუდენტობისათვის, მათი ინტერესების შესაბამისად. ბიუროს იმედი აქვს, რომ ფაკულტეტის დეკანატი, პარტიული ბიუროო, ისე როგორც წინა წლებში, ქმედთი დახმარებას გაუწევს მის მუშაობას. პროფბიუროო შეეცდება იმუშაოს ფაკულტეტს ალკა ბიუროსთან შეთანხმებულად, მხარდამხარ, ხელიხელჩაკიდებული.

ᲝᲒᲑᲐᲠ ᲤᲮᲐᲙᲐᲫᲔ,
ისტორიის ფაკულტეტის პროფბიუროს თავმჯდომარე.

Ა. Ს. ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ხელოვნებათა ქალაქის უფროსი კომენდანტი ალექსანდრე სპირიდონის-ძე ზაქარიაშვილი.

ალექსანდრე ზაქარიაშვილი დაიბადა 1905 წ. ჩოხატაურის რაიონის სოფ. სამადისერში, ღარიბი გლეხის ოჯახში. დაწყებითი განათლება მიიღო შუშანელიერი სოფლის არასრულ საშუალო სკოლაში.

1924 წ. შევიდა სკკ. ალკკ რიგებში.

1928 წ. ამთავრებს ქუთაისის პარტიულ სკოლას და იმავე წელს შედის კომუნისტური პარტიის რიგებში.

სტუდქალაქის დაარსების დღიდან ა. ზაქარიაშვილი მუშაობას იწყებს აქ უფროსი კომენდანტის თანამდებობაზე.

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დაწყების პირველ დღეებშივე ა. ზაქარიაშვილი მობილიზებულ იქნა საბჭოთა არმიის რიგებში, როგორც თანამრგო